

## აფას სტილის მოკლე გზამკვლევი

ტექსტში შიდატექსტური ციტირებისა და გამოყენებული ლიტერატურის შედგენის დროს, სტუდენტმა უნდა იხელმძღვანელოს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) სტილით. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://www.apastyle.org/>

აფას სტილით შიდატექსტური ციტირებისას მნიშვნელოვანი კომპონენტებია: ავტორის გვარი და გამოცემის თარიღი: (თრეისი, 2019).

ციტირებისა და პარაფრაზირების დროს უნდა მიეთითოს გვერდები კონკრეტული წიგნიდან (სტატიიდან და ა.შ):

(თრეისი, 2019, გვ. 15)

(თრეისი, 2019, გვ. 15-56)

ინგ:

(Turabian, 1992, p. 200)

(Turabian, 1992, pp.200-209)

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი სავალდებულოა.

- გვერდი უნდა დასათაურდეს როგორც გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც იწერება მთავრული ასოებით, გვერდის ცენტრში. დოკუმენტის ეს ნაწილი ყოველთვის უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან.

- ჩამონათვალში სტრიქონებს შორის დაშორება შეიძლება იყოს 1.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შედგენისათვის აუცილებელი კომპონენტებია: ავტორი, თარიღი, სათაური, წყარო.

გამოყენებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური წესით და არ საჭიროებს დანომვრას. გამოყენებული ლიტერატურის მითითებისას საჭიროა შემდეგი სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ფრჩხილები, ორწერტილი. წყაროს დასახელების დროს ძირითადი ელემენტები წერტილებით გამოიყოფა, მძიმე გამოიყენება ერთეულის შიგნით (მაგ.: გვარისა და ინიციალის გამოყოფისას და რამდენიმე გვარის შემთხვევაში). ფრჩხილებში იწერება თარიღი, გამოცემის დეტალები, ხოლო გამოცემის ადგილსა და გამომცემლობას შორის დაისმის ორწერტილი.

დახრილი შრიფტით იწერება სრული სახელწოდებები (წიგნების, ანგარიშებისა და ვებგვერდების სახელწოდებები). ხოლო დახრილი შრიფტით არ იწერება კონკრეტული თავების სათაურები (ჟურნალების, წიგნების და სხვა ნაშრომების).

გამოცემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია (მაგ.: მეორე გამოცემა, ტ. 1) იწერება ფრჩხილებში სათაურის შემდეგ, დახრილი კურსორის გარეშე.

წიგნები:

ავტორი	დამოწმების წესი	გამოყენებულ ლიტერატურაში წყაროს მითითების წესი
ერთი ავტორი (როცა ტექსტში დამოწმებულია ავტორის მთელი ნაშრომი)	(თრეისი, 2019)	თრეისი, ბ. (2019). <i>მოტივაცია</i> . თბილისი: პალიტრა ელი.
ერთი ავტორი (როცა ტექსტში დამოწმებულია კონკრეტული ციტატა)	(თრეისი, 2019, გვ. 15)  (Turabian, 1992, p. 200) (Turabian, 1992, pp.200-209)	თრეისი, ბ. (2019). <i>მოტივაცია</i> . თბილისი: პალიტრა ელი.  Turabian, K. L. (1996). <i>A manual / or writers of term papers, theses, and disseratations</i> . (6 <sup>th</sup> ed.). Chicago: University of Chicago Press.
2 ავტორი	და კავშირი თუ წიგნი ქართულ ენაზეა: (სმიტი და ტეილორი, 2004, გვ. 30) & ნიშანი (Smith & Taylor, 2004, p. 30)	Smith, P. R., & Taylor J. (2004). <i>Marketing Communications. An integrated Approach</i> . (4 <sup>th</sup> ed.). London: Kogan Page.
3 და მეტი ავტორი	და სხვანი (ბლათბერგი და სხვანი, 2008, გვ. 20)  et al. (Blattberg et al., 2008, p. 20)	Blattberg C. R., Byung-Do K., & Neslin A. S. (2008). <i>Database Marketing. Analyzing and Managing Customers</i> . New York: Springer.
ერთი და იმავე გვარის ან თარიღის შემთხვევაში	(თრეისი 2019ა) (თრეისი 2019ბ)  (Smith 2004a) (Smith 2004b)	თრეისი, ბ. (2019ა). <i>მოტივაცია</i> . თბილისი: პალიტრა ელი.

იმ შემთხვევაში თუ წიგნს მხოლოდ რედაქტორი ჰყავს	(Smith 2004)	Smith, P. R. (ed.). <i>Database Marketing. Analyzing and Managing Customers</i> . New York: Springer.
იმ შემთხვევაში თუ წიგნს ავტორთა ჯგუფი ჰყავს	(APA 2019)	American Psychological Association. (2019). <i>Publication Manual of the American Psychological Association</i> .  (თუ ორგანიზაციის სახელწოდება და გამომცემლობის სახელი ემთხვევა, მაშინ შეიძლება გამომცემლობის სახელწოდების გამოტოვება, რათა თავიდან ავირიდოთ დამთხვევა).

### პერიოდული გამოცემები:

შიდატექსტური ციტირების პრინციპი ყველა წყაროს მსგავსი აქვს. პერიოდული გამოცემის (სამეცნიერო ჟურნალი, ნებისმიერი ტიპის ჟურნალი, გაზეთი, საინფორმაციო ბიულეტენი, ბლოგი და სხვ.) გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებისას მნიშვნელოვანია: პერიოდული გამოცემის სათაური, ტომის ნომერი, გამოცემის წელი/ნომერი, გვერდების ნომრები.

პერიოდული გამოცემის სახელწოდება იწერება დახრილად (სასვენი ნიშნები დახრილად არ იწერება). თუ სათაური შეიცავს აბრევიატურას, ამავე სახით შევა გამოყენებულ ლიტერატურაშიც, დაუშვებელია აბრევიატურის ამოღება ან გრძელი სათაურის თვითნებურად შემოკლება. დახრილი კურსორით იწერება ასევე ტომის ნომერი. იმ შემთხვევაში თუ ტომს ცალკე გამოცემის ნომერი აქვს, მიეთითება ფრჩხილებში. ამის შემდეგ იწერება გვერდების ნომრები (მაგ.: 47-89 ან 47-89, 105 თუ განცალკევებითაა ცალკე გვერდიც). ინტერნეტწყაროს შემთხვევაში, ჩანაწერი სრულდება ბმულით (DOI ან URL). თუ ინტერნეტწყაროს აკლია ზოგიერთი ეს მონაცემი, მიეთითება მხოლოდ ის, რაც არსებობს (მაგ.: მხოლოდ სათაური და ბმული).

ავტორი	გამოყენებულ ლიტერატურაში წყაროს მითითების წესი
ნაბეჭდი გამოცემა ან ელექტრონული ვერსია საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო ბაზიდან (ბმულის დასამეც. ბაზის დასახელებს გარეშე)	Kossek, E. E., & Buzzanell, P. M. (2018). Women's career equality and leadership in organizations: Creating an evidence-based positive change. <i>Human Resource Management</i> , 57 (4), 813-822.
ელექტრონული ვერსია DOI	McCauley, S. M., & Christiansen, M. H. (2019). Language learning as language use: A cross-linguistic model of child language development. <i>Psychological Review</i> , 126(1), 1–51. <a href="https://doi.org/10.1037/rev0000126">https://doi.org/10.1037/rev0000126</a>
ელექტრონული ვერსია DOI-ის გარეშე (URL)	Littlepage B., & Clemson C. (2018). Transitional Challenges for Students with Disabilities During a Period 149-159 of Systemic Imbalance. <i>Journal of Postsecondary Education and Disability</i> , 31 (2), 149-159 <a href="https://www.ahead.org/professional-resources/publications/jped/archived-jped/jped-volume-31">https://www.ahead.org/professional-resources/publications/jped/archived-jped/jped-volume-31</a>
საგაზეთო სტატია	Ghitis, F. (2020, June 9). This could be a turning point in the fight against racism – in America and abroad. <a href="https://www.washingtonpost.com/opinions/2020/06/08/this-could-be-turning-point-fight-against-racism-america-abroad/">https://www.washingtonpost.com/opinions/2020/06/08/this-could-be-turning-point-fight-against-racism-america-abroad/</a>

**ინტერნეტიდან დამოწმებული წყაროები:**

ნაშრომში ხშირად გამოყენებულია ისეთი სამეცნიერო ბაზები და ელექტრონული ბიბლიოთეკები, რომლებზე წვდომაც მკითხველს შეიძლება არ ჰქონდეს, ნაშრომში უნდა მიეთითოს ისეთი წყაროები, რომლებიც ციტირებულია, პარაფრაზირებულია და მათი ნახვა დააინტერესებს მკითხველს. გამომცემლობის ადგილას მიუთითეთ სამეცნიერო ბაზების, ელექტრონული რესურსებისა თუ არქივების სახელწოდებები, საიდანაც ამოღებულია ნაშრომი და ბმული (URL ან DOI). არ იწერება ცნობილი სამეცნიერო ბაზების სახელწოდებები: APA PsycNET, PsycINFO, Academic Search Complete, CINAHL, Ebook Central, EBSCOhost, Google Scholar, JSTOR, MEDLINE, Nexis Uni, Ovid, ProQuest, ScienceDirect, Scopus, Web of Science.

სოციალური მედია მიეთითება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომში გამოყენებულია ორიგინალი პოსტები და სხვა მასალები. დამოწმებისას იწერება სოციალური მედიის დასახელება, თარიღი როცა აღნიშნული მასალა იყო ხელმისაწვდომი და ბმული.

ვებგვერდიდან მასალის დამოწმებისას იწერება ვებგვერდის სახელი, მაგ.: BBC News, მასალის განთავსების თარიღი და ბმული. აუცილებელია ისეთი ბმულების მითითება, რომლებიც მოქმედია, ან უნდა გადამოწმდეს ინტერნეტ არქივში.

გამოყენებულ ლიტერატურაში ვერ აისახება ისეთი წყაროები, რომელთა გადამოწმებასაც მკითხველი ვერ შეძლებს (მათ შორის: პირადი ელფოსტიდან, ლექციებიდან, ინტრანეტიდან და ა.შ), შესაძლებელია მხოლოდ ძირითად ტექსტში მოხსენიება.

წყარო	გამოყენებულ ლიტერატურაში წყაროს მითითების წესი
ვებგვერდი	World Intellectual Property Organization. (2020, May 27). Wipo proof: WIPO Introduces new business service that provides evidence of an intellectual asset’s existence. <a href="https://www.wipo.int/pressroom/en/articles/2020/article_0012.html">https://www.wipo.int/pressroom/en/articles/2020/article_0012.html</a>
სახელმწიფო ანგარიშები	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2019, აგვისტო). მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები. <a href="http://www.economy.ge/uploads/publications/economy_799410405d5a532348cd54.35177499.pdf">http://www.economy.ge/uploads/publications/economy_799410405d5a532348cd54.35177499.pdf</a>
ბლოგი	Marinelli, L. (2020, May 6). How video producers and other creatives are forging ahead with remote work. <a href="https://wistia.com/learn/marketing/how-video-producers-and-other-creatives-are-forging-ahead-with-remote-work">https://wistia.com/learn/marketing/how-video-producers-and-other-creatives-are-forging-ahead-with-remote-work</a>